№ 51. 31 დეკემბერს 1871 31 დეკემბერს № 51.

გაზეთის ფასი

| | გაგზავნით | | უგზავნელად: | |
|---|---|---|---|---|
| თფილისში და გარეშე ადგილებში: | | | | |
| ერთის წლისა | 7 მან. | | 6 მან. | |
| ნახევარის წლისა | 4 | | 3 | 50 კ. |
| სამის თვისა | 2 | 50 კ. | 2 | |
| ერთის თვისა | 1 | | „ | 75 კ. |
| ცალკე ერთის ნომრისა | | | „ | 15 კ. |

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით —ასოზე ½ კაპ.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

# დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ამატუნის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ქუთაისში — გ. კალანდარაშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ლ. ლოლუასთან გაგარინის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახლში.

ავტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავისი ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შემოკლებს, გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეექვსე.

მომავალს 1872 წელს

## „დროება“

გამოვა თავის ძველებური პროგრამმისდა შეუცვლელად.

**მომავალი წლიდამ მთელი წლის „დროების“ ფასი, შვიდი მანეთის მაგივრათ, ექვსი მანეთი იქნება.**

პირველ იანვრამდი **„დროებაზე“ ხელის-მოწერა** მიიღება ისევ

**თფილისში**— „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ნ. ამატუნის სახლებში, და

**ქუთაისში**—გერასიმე კალანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში).

თფილისის და ქუთაისის გარეშე მცხოვრებთა, პირველ იანვრამდი, გაზეთი „დროება“ შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ: **Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографіи Меликова и К-о.**

| ხელ-მოსაწერი ფასი: | გაუგზავნელად მან. | კაპ. | გაგზავნით მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| ერთის წლისა | 5 | „ | 6 | „ |
| ნახევრის წლისა | 2 | 50 | 3 | „ |
| სამის თვისა | 1 | 50 | 1 | 75 |
| ერთის თვისა | „ | 50 | „ | 60 |

### შინაარსი

რედაქციისაგან.— საქართველო: ორი კორრესპონდენცია გორიდაგან,—წვრილი ამბები.— რუსეთი: წვრილი ამბები.— უცხო ქვეყნები: საფრანგეთი; ავსტრია და ვენგრია,— შვეიცარია (ჟენევიდგან — „დროების“ კორრესპონდენცია).— ნარევი.— ბიბლიოგრაფიული და კერძობითი განცხადება. ფელტონი: ერთი ტელეგრამმის წაკითხვაზე — ნ. სკანდელისა.

### რედაქციის განცხადება

თფილისსა და ქუთაისს გარდა „დროებაზე“ ხელის-მოწერა მიიღება შემდეგ ქალაქებში:

**გორში**—ქრ. მამაცაშვილთან.

**სიღნაღში**—რ. ციციშვილთან.

**თელავში**—ლ. ჯანდიერთან.

**ყვარელში და ლაგოდეხში**—ალ. მარჯანოვთან.

**ზუგდიდში**—ალ. ფიფინაშვილთან.

**სენაკში**—ნ. დგებუაძესთან.

**ონში**—კ. კლდიაშვილთან.

**ფოთში.** ზურ. არუწოვთან.

**ყვირილაში**—დ. ლამბაშიძესთან.

**ხონს**—გ. ჩიქოვანთან.

**ეს ნომერი წლევანდელი წლის უკანასკნელი ნომერია; 1872 წლის პირველი ნომერი მომავალ კვირაში გამოვა.**

## საქართველო

### გორიდგან

(„დროების“ კორრესპონდენცია.)

2-ს დეკემბრისას ამა 1871 წელსა გორის მომრიგებელს სამსჯავროში გაირჩა რამდენიმე საქმე, მხოლოთ იმათ შორის უფრო მომეტებული შესანიშნავი საქმე იყო ორი: ერთი იყო თავად გრიგორ ერისთავისა და სომხის მღვდლისა ტერ-სტეფანოვის შორის, რომელსაც მიემხრენ ორი საზოგადოება: ერთი სოფელი ხიდისთავისა და მეორეც ქ. გორისა. თ. ერისთავმა ამოირჩია სუდში სალაპარაკოთ უ. ალიხანოვი, ს. ხიდისთავის საზოგადოებამ ამოირჩია თავიანთ უმფროსი ე. ი. მამასახლისი. გორის საზოგადოებამ მიანდო საქმე უ. ს. ტერ-სტეფანოვს, გორის დეპუტატს. მღვდელი ტერ-სტეფანოვი დარჩა მარტოდ.

მეორე საქმე იყო თ. ღენერალ ისაკ თუმანოვისა და უ. ჯომარჯიძეს შორის. თუმცა ე მსურდა, რომ ამ ჟამადვე მეცნობინებინა კითხველისთვის ორთავე საქმე, მაგრამ, რადგანაც დროება არ მაძლევს იმოდენა ნებასა, ამისა გამო ეს მეორე საქმე დარჩეს შემდეგისთვის; ახლა კი დავიწყობ პირველს საქმეზედ.

საგანი ამა საქმისა ანუ საჩივრისა სასამართლოში იყო შემდეგი: ხიდისთავში, როგორც მოგეხსენებათ, ძლიერ ბევრი ვენახებია, ამისა გამო ხიდისთავის ღვინოები საქართველოში ძალიან გათქმულია. ეს ვენახები და ანუ რაც სახნავი მიწებია ს. ხიდისთავში, ირწყვის მდინარე ტ ა ნ ი თ. ეს მდინარე ტან ჩამოდის ატენის ხეობიდგან. წელს ზაფხულში ს. ხიდისთავი ძალიან შევიწროვდა უწყლობით, ამიტომრომ რაც ვენახები არის და სახნავი მიწები ს. ხიდისთავში, დარჩნენ ურწყავათ. მიზეზი უწყლობისა იყო შემდეგი: ატენის ხეობა მომატებული ნაწილი ეკუთვნის თ. გრიგორ ერისთავს, რომელსაც აქვს გამართული ამა მდინარე ტანაზედ საგუბარი წყლისა. რადგანაც ამ ხეობაში გამოდის ბლომათ ხეები ტყისა და ეს ხეები არა რაიმე ღონის-ძიებით ვერ ჩამოიტანება ტყვრის პირზედ ტივის შესაკვრელათ, ამისა გამო აგუბებენ წყალს ამ საგუბარში და მერე ერთბაშათ აუშვებენ ხოლმე ამ წყალსა, რომელიც დიდის ხრიალით წამოიღებს ხოლმე სატივე ხეებსა ხიდისთავის ახლოთ, აქედამ კამბეჩებითა და ხარებით ათრევენ ტყვრის პირზედ და ჰკვრენ ტივებსა. წელს ხშირის შეგუბებით ამ წყლისა, სოფელი ხიდისთავი ძალიან შესწუხდა; ამისა გამო მიართვეს საჩივარი გორის მომრიგებელს მოსამართლეს, რომელშიაც გამოაცხადეს, რომ თ. გრიგორ ერისთავი წყალს აღარ გვანებებსო და ლამის წყურვილით დავიხოცოთო. რადგანაც ს. ხიდისთავში მომატებული ნაწილი არის გორელების ვენახები, ამიტომ იმათ ცალკე იჩივლეს; ამათ შორის ღვდელს ტერ-სტეფანოვსაცა აქვს ვენახი ს. ხიდისთავში, ამან განსაკუთრებით იჩივლა და ესე საჩივარი იყო გასარჩეველათ დანიშნული 2-ს ამა დეკემბერს. რაკი შეესმა ხალხს, რომ ამ გვარი შესანიშნავი საქმე ირჩევა მომრიგებელს სასამართლოში, იმ წამსვე შეკრებილიყვნენ იმოდენა ხალხნი ამ გორის მომრიგებელს სასამართლოში, რომ, როგორც ქართულათ იტყვიან, ნემსის კუნწიც არ ჩავარდებოდა. უნდა მოგახსენოთ, რომ გორის მომრიგებელი სასამართლოს ზალა ძალიან დიდია, მაგრამ სრულებით არ ეტყობოდა ამ ზალას თავის სიდიდე, რადგანაც ხალხი არათუ მარტო ისხდნენ სკამეიკებზედ, არამედ ორი წილი ფეხზედ იდგა და ვიწროობისა გამო ბევრნი აკოშკებშიაც ისხდნენ. ამათ შორის, რასაკვირველია, იმყოფებოდნენ ის პირნი, რომლების მიზეზითაც შეგროვილიყო ამოდენა საზოგადოება, და მოუთმენლათ ელოდნენ გამოსვლას ზალაში მომრიგებელი მოსამართლისას. ცოტა ხანს შემდეგ გაიღო კარები და გამოვიდა მომრიგებელი მოსამართლე ხელში ბლუჯა საქმეებითა და თან გამოჰყვა თარჯიმანი, რომელიც

## ფელტონი

### ერთი ტელეგრამმის წაკითხვაზე

(უიქრი)

. . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . .

მასაქეთია, რაც მე და შენ ფელტონის სარდაფში არ დავმსხდარვართ, ჩემო მკითხველო, და ერთათ დრო მუსაიფში და ხუმრობაში არ გაგვიტარებია, დიდ ხანს გაუვლია. მასაქეთია ბევრი რამ შეცვლილა შენში და ჩემშიაც. მე და შენ ვინ დაგვეძებს,— ბევრი რამ შეცვლილა ქვეყანაში, და შეცვლილა ისე, რომ ხუმრობის და ლაქლანდარობის თავი როდი ვისმე აქვს, ან, თუ აქვს, როდი უნდა ჰქონდეს. ბევრი რამ შეიცვალა, ბევრი იმედი ძირიანათ მოიკაფა, ბევრი საზარლობა და საძაგლობა შესრულდა, და დადგა ნელი, და ჩუმი ღამე, რომელშიაც მელამურების და ბუს ბოდიალის და მეჯლიშის მეტი არა სჩანს და არა ისმის რა . . . . . . . . . . . . . . .

Плохо въ Америкѣ стало,
Въ Европѣ скверно всегда!..

და როცა პირველი განათლებული ქვეყნების ცხოვრება იმიხთანა სურათს წარმოგვიდგენს, როცა იქაური ამბები იმედს უკაფვენ კაცს და ტვინში უნებური შიშის ჟრუანტელს უძრავენ, მოდი შენ და ფელტონში უდარდელათ მოიკეცე მუხლი და ქეიფიან ხუმრობას შეექეცი,—მერე ზამთარში! მაგრამ, ვაი თუ დიდხანს გაჩუმებამ ჩვენ მუსაიფს სრულიათ გადაგვაჩვიოს! ვაი თუ უხალისო ცხოვრებამ ჩვენში ხალისი სამუდამოთ მოსპოს? მაშინ რაღა გვეშველება? ხომ საბოლოოთ დალუპული შევიქნებით და ჩვენი სიცოცხლე იმ ნაირივე უხეირო და უსიამოვნო შეიქნება, როგორც იმ ცრუ ბრძნების ბედი, რომელნიც ნიადაგ გაბერილები დაიქანცებიან, უსიტყვა-პასუხოთ, უაზროთ და უშნოთ, თითქო გაბერილება და წარბის ჭმუხვა უზენაესი განათლების ბეჭედი იყოს... ვეცადოთ ამ დაწყევლილ ბედს ავცილდეთ: ვიმასლაათოთ, თუნდ რომ სამასლაათო არა გვქონდეს რა, ვიცინოთ იმაზე, რაც ტირილის ღირსია, ვიყბედოთ თუნდ კბილები ჯავრისაგან გვემტვრეოდეს—იქნება ამ ბუნების-წინაღმდეგი ხალისით ცოტაოდენათ მაინც შევირჩინოთ ის ცხოვრების წმინდა ალი, რომელიც დაბადებითვე უნდა დაჰყოლოდეს ყოველ „ცოცხალ“ კაცს . . . .

+

ვიმასლაათოთ, მაგალითად, სიკვდილზე.

თუ შენ, ჩემო საყვარელო მკითხველო, ბავშობაში ღვთის მოყვარე მშობლებისაგან ან დედ-მამის მორჩილი ყმაწვილი ყოფილხარ, შენ უსათუოთ დაესწრებოდი, ვნების კვირაში, იმ წირვას, როცა ჩვეულებრივ თორმეტ სახარებას კითხულობენ, და ყველა ამ სახარებებს შინაარსათ ერთი და იგივე საგანი აქვთ— ჩვენი მაცხოვრის ვნება და ტანჯვა და მისი სიკვდილი, ის სიკვდილი, რომელზედაც საღმრთო წერილებში ჩინებულათ ნათქვამია: „სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი!“ თუ შენ როდისმე ამ წირვას დასწრებიხარ, შენ სადღავის კარამდის უნდა გახსოვდეს ის საკვირველი გრძნობა, რომელიც მთელ ტანში გაგიჯდებოდა და შენდა უნებურათ სრულ უფლებას მიიღებდა შენ ტვინზე და სხეულზედა, ისეა რომ დიდხანს სხვა რასმეზე ფიქრი და სჯა შენთვის შეუძლებელი იქნებოდა. მართლაც საკვირველი და თითქმის აუწერელი ზედმოქმედება იქვს კაცზე ამ წირვას, რომლის ყოველი ახალი სახარება ერთ რასმე მაინც უმატებს ისეთს, რომ ადრე წაკითხულ სახარებისაგან აღძრული მწვავი გრძნობა ხელახლავ გააღვიძოს და გაამძლავროს. ყოველი სიტყვა, თავისი შეუმკობელ, უბრალო მორთულობით, პირდაპირ ტვინის და გულის ძარღვებში მიიჭრება და მთელი გონება, სხეული, გრძნობა ღელავს და თქთაქობს მთავარ-დიაკონის ხმის კილოზე.

გახსოვს, მკითხველო, ეს გრძნობა? დაფიქრებულხარ შენ როდისმე მის მიზეზზე და გამოგიკვლევია მისი წყარო?

+

სხვა და სხვა, ძლიერ საფუძვლიანი, მიზეზის გამო, მე დიდიხანია არ დავსწრებივარ ამ გვარ წირვას მაგრამ იმ დროინდელი ჩემი გრძნობა და აზრები ისე მახსოვს, თითქო ეს გუშინდელი ამბავი იყოს. მე მოგიყვები ახლა ამ ამბავს, იქნება შენი გრძნობაც ამ გვარივე ყოფილიყოს და იქნება ჩემმა სიტყვებმა შენ შენივე გულის ღელვა გაგახსენოს.

+

მე მესმოდა, რომ მაცხოვარი რომელსაც გულში და აზრში ჰქონდა კაცობრიობის დახსნის და შვილის სწავლას მთელ თავის სიცოცხლეში მხოლოთ ამ დახსნაზე ჰფიქრობდა და შრომობდა, ვინც სავსე იყო ალმტაცი და გონიერი სიყვარულით არა თუ მახლობლებისთვის, მაგრამ მტრებისთვისაც,—იტანჯებოდა იმათივე ხელით, ვისი დახსნისთვის ცხოვრობდა და ზრუნავდა. მე მესმოდა, რომ ის, ვისაც ჰქონდა იმოდენა ღვთიური ძალა, რომ მთელი მთამომავლობა მთელი ქვეყნისა ათასი წლობით მისი გრძნობით და აზრით, მისი სწავლით და სიყვარულით სცხოვრობს, მის გულისთვის შრომობს და იტანჯება, მისი იმედით ხარობს,—დაიტანჯა უგუნური და უ-

რუსულიდგან ქართულს ენაზედ სთარგმნიდა, თუმცა ქართული ყველას კარგათ ესმოდა. მომრიგებელმა მოსამართლემ გამოუძახა ზემოხსენებულს პირებს და დაიწყო საქმის გარჩევა.

მომრ. მოსამ.—რას სჩივით თქვენ? ჰკითხა მღვდელს.

მღვდელი.—საჩივარი ჩემი, როგორც მოგახსენეთ არზაში, არის შემდეგი: მე მაქვს ს. ხიდისთავში, ვენახი რომელიც მუდამ წელიწადს უკლებლივ ირწყოდა; მაგრამ წელს უწყლობით დამრჩა ურწყავათ და ამის გამო ვენახი წამიხდა. მიზეზი უწყლობისა იყო ის საგუბარი, რომელიც გაუმართავს თ. გრიგორ ერისთავს მდინარე ტანაზედ და მით აგუბებს წყალს და არ გვანებებს სარწყავათა. ამისა გამო გთხოვთ, უ. მომრიგებელო მოსამართლევ, დააშლევინოთ ის საგუბარი და მოგვეცეს წყალი ისე, როგორათაც გვქონია წინანდელს წლებში.

მომრ. მოსამ.—თქვენ რაღასა სჩივით? ჰკითხა უ. ტერ-სტეფანოვსა და მამასახლისსა.

მამასახ. და ტერ-სტეფ.—ჩვენც მაგასა ვსჩივით, შენი ჭირიმე; ჩვენი ვენახებიც უწყლობით წელს სულ გაოხრდა,—მიუგეს ერთად მომრიგებელ მოსამართლეს.

მომრ. მოსამ.—თქვენ რას იტყვით ამაზედ? ჰკითხა უ. ალიხანოვს.

ალიხანოვი—მაგის პასუხს მოგახსენებთ შემდეგს: პირველი, რაც შეეხება საგუბარს, არავის არ შეუძლიან დაშლა, რადგანაც აგერ თითქმის ორმოცი წელიწადია გამართულია და სარგებლობს თ. ერისთავი; მეორეც ესა, რომ ხიდისთაველებს არას დროს არ უსარგებლიათ მდინარე ტანით, ეგენი სარგებლობენ მხოლოდ იმ მდინარეებით, რომელნიც ერთვიან ტანას საგუბარის ქვეით.

მომრ. მოსამ. ამაზედ რა გაქვსთ სათქმელი? ჰკითხა მღვდელსა.

მღვდელი. (ზოცებით) საკვირველია, რომ საზოგადო სახმარისს წყალს იჩემებს საკუთრებათ! დასამტკიცებლათ მისა, რომ თ. ერისთავს არ შეეძლო და არ შეუძლიან არაოდეს წყლის შეკვრა საზოგადოებისათვის, მოვიყვან ერთს მუხლს მეფე ვახტანგის კანონებისას, რომელიც შეუშლელათ მოქმედობს ჩვენს კავკასიაში?—ამ დროს აილო მეფე ვახტანგის კანონები და წაუკითხა მომრიგებელ მოსამართლეს, რომელსაც ეტყობოდა, რომ ის მუხლი ამ საქმის შესახები არ იყო და ამისა გამო ყურადღებაში არ მიიღო. ბოლოს მოსამართლემ ჰკითხა,—მოწმები შეგიძლიან წარმოადგინოთ დასამტკიცებლათ მისა, რომ წელს თ. გრიგორ ერისთავმა წყალი შეჰკრა და არ დაანება ს. ხიდისთაველებსა? მღვდელმა გამოიყვანა რამდონიმე მოწამენი, რომლების სახელი ჩასწერა მომრიგებელმა მოსამართლემ. უ. ალიხანოვმაც წარუდგინა სია თავისი მოწმებისა, რომელთაც უნდა დაემტკიცებინათ, რომ ხიდისთავი არაოდეს არ სარგებლობდა მდინარე ტანით; მხოლოთ პატარა მდინარეები რომ ერთვის ტანას, იმითი სარგებლობენო.

მომრიგებელმა მოსამართლემ დაუწყო კითხვა ჯერ იმ მოწმებს თვითოეულათ, რომელნიც წარუდგინა მღვდელმა. თუმცა ამ მოწმებმა წარმოსთქვეს სხვა და სხვა საბუთები, მაგრამ ბოლოს ყველა მოწმები ამტკიცებდნენ, რომ ყოველთვის ხიდისთავს უსარგებლია მდ. ტანითაო. აგრეთვე გამოიყვანა უ. ალიხანოვის მოწმები რამდონიმე და ყველამ აჩვენა თ. გრიგორ ერისთვის მხარეს. თითქმის გაეზეპირნათ ერთი და იგივე ჩვენება, ამისა გამო მომრიგებელმა მოსამართლემ მოსწყვიტა კითხვა რამდენიმე მოწმებისა და დარწმუნდა, რომ ალაგობრივ უნდა გაიშინჯოს ის მდინარეები, რომელნიც ერთვიან მდინარე ტანას და მითი უნდა დარწმუნდეს—საკმაო არის წყალი სარწყავათა თუ არა? ამისა გამო გადასდო ეს საქმე გასარჩევლათ 11-ს ამ დეკემბრამდი.

ვეცდები შეგატყობინოთ—რითი გათავდება ეს ჩვენთვის ძლიერ საინტერესო საქმე.—

## გორიდგან

(„დროების“ კორრესპონდენცია).

(ზოგიერთი ფულის წყაროები სასულიერო სასწავლებლებისთვის.)

ახლა ჩვენი გორის მაზრის სამღვდელოება დიდ რჩევაში და ფიქრშია შესახებ მოსამზადებელი კლასის გახსნისა და ახალი უსტავის (წესდებულების) შემოღებისა გორის სასულიერო სასწავლებელში; ამისათვის რომ, როგორც მოსამზადებელი კლასი თავის მასწავლებლით, აგრეთვე ზოგიერთა მატერიალური ნაწილი სასულიერო სასწავლებლისა ახალი წესდებულების ძალით, თვით სამღვდელობის კისერზე წევს. უეელა დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ჩვენი სამღვდელო პირების ცხოვრება არ გამოსაჩენი და საცოდავია მატერიალურის მხრით; მაშა სადამე, რაღა ეთხოვება იმათ, რომელთაც თავიანთ თავიც გასჭირვებიათ . . . განა მთავრობას, განა თვით სამღვდელოებას არ შეუძლიან გამოძებნოს იმისთანა ფულის წყაროები, რომლებიც უფრო სამუდამო და საფუძვლიანი იყვნენ?! მე მივათითებ აქ ზოგიერთ ამ წყაროებზე. აი მაგალითად პირველი ამათგანი: ბევრს ეკკლესიებს აქვს შეტანილი ბანკში ფულები, რომლის პრაცენტები (სარგებელი) საკმაო ფულს შეადგენს; ხოლო ზოგ ეკკლესიებს რამდონიმე ოცი თუმანი უწყვია დაკეტილ ყუთში უსარგებლოთ. არ შეიძლება იმ ბანკში შეტანილის ფულის სარგებელი და იმ ფულებისა, რომელიც ზემოთ არის მოხსენებული, მიიქციოს სასწავლებლების სასარგებლოთ? მეორე ადგილი საფუძვლიანი და სამუდამო ფულის წყაროისა შეგვიძლიან მივსცეთ ჩვენს მონასტრებს. თუმცა მირთალია ჩვენს საქართველოში არ არის იმდენი მონასტრები, და იმისთანა მდიდრები, რამდენიც და როგორ მდიდრებსაც აგვიწერდენ ამ ცოტა ხანში „პეტერბურღის უწყებები“, რუსეთის მონასტრების თაობაზე, მაგრამ, მაინც კიდევ ერთს მონასტერს იმდენი შეეძლება შესწიროს სასულიერო სასწავლებლებს, რასაც ვერ შეიძლებს ოცი ღატაკი ღვდელი. წმინდა სამთლიდგანაც შეიძლება რამდენიმე პროცენტი წელიწადში გადასცენ სასულიერო სასწავლებლების სასარგებლოთ. ქაღალდის გვირგვინები (вѣнчики), რომლებსაც შემოაკრავენ ხოლმე მიცვალებულს და შენდობის წიგნების (отпустительныя граммоты) ფულები იყვეს მიქცეული სასულიერო სასწავლებლების სასარგებლოთ?! ამასთანავე მთავრობას შეუძლიან დააწესოს, როგორც რუსეთში არის, ისა, რომ მიცვალებულის პატრონებმა, რომლის მიცვალებულსაც ეკკლესია მიიღებს და გააცილებს ხოლმე ზარის რეკით, შესწიროს ფული, შეძლებისამებრ, სასულიერო სასწავლებლების სასარგებლოთ.

ქ. ზ.

გორი, 22-ს დეკემბერს.

ჩვენ შევიტყეთ, რომ რუსეთში თავი მოუკლავს ერთს ჩვენებურ ახალგაზდას, ნაცვალოვს, რომელიც იქ ჯერ სწავლულობდა, და შემდეგ კი, საშუალების უქონლობის გამო, სწავლას მოკლებული შეიქმნა და თავის საკუთარი შრომით ცოტაოდენ საკვებს შოულობდა. ამ უკანასკნელ დროში იმას ეს საშუალებაც მოჰკლებია; და საბრალო ახალგაზდას, ყოველ იმედ-მოკლებულს, სიკვდილი ურჩევია. იმას თავი რევოლვერით მოუკლავს.

* *

„მნათობის“ გამოცხადებაში ვკითხულობთ, რომ გაისს ეს ჟურნალი აპირებს დაბეჭდოს, სხვა და სხვა სტატიების შუა, შილლერის დრამები „ფიესკოს შეთქმულება,“ „ავაზაკები“ და სხვ. და სხვა ამ გვარივე თხზულებაების თარგმანი.—ჩვენ დიდის სიამოვნებით ვაქცევთ ამ საგანზე მკითხველის ყურადღებას და წრფელის გულით ვისურვებთ, რომ „მნათობს“, ამ შრომის შესრულებაში, საზოგადო თანაგრძნობა არ მოაკლდეს.—ჩვენ შეგვიძლია არ ვეთანხმებოდეთ „მნათობს“ ზოგიერთ კერძო კითხვებში, კიდეც ვედავებოდეთ იმას და მის თანამშრომლებს, ვკიცხავდით, მაგრამ ამისთანა სასარგებლო საქმეში ჩვენი სრული თანაგრძნობა იმათთან არის. ღმერთმა ქნას, რომ ეს ჩინებული საქმე „მნათობს“ მხნეთ წაეყვანოს, და მით დიდი დავალება დაედვას ჩვენ ლიტერატურის და საზოგადოებისთვის, რომელსაც დიდსა და გამოუთქმელ სარგებლობას მოუტანს ხეირიანათ გაცნობა ევროპიელი პოეტების და მეცნიერებისა.

დიდი სიამოვნებით ვუმატებთ აქ, რომ „მნათობის“ უკანასკნელ წიგნში კიდეც დაბეჭდილია შილლერის დრამის „ვილჰელმ ტელლის“ დასაწყისი; ეს დრამა გადმოუთარგმნია უფ. ნ. ავალიშვილს. ჩვენ სრულებით დარწმუნებული ვართ, რომ ყოველი ხეირიანი მკითხველი თავიდამ ბოლომდი გარდაიკითხავს ამ გრძნობითა და აზრით სავსე დრამასა.—

* *

1872 წ., ორშაბათს, 3 იანვარს, თბილისის კრუჟოკში, ქართულ ენაზე წარმოსდგება: **ქალათ ცოლის შერთვევინება**, კომედია მოლიერისა, თარგმანი დ. ყიფიანისა და **ქმარი ხუთის ცოლისა**, კომედია 2 მოქმედ. თხზულ. ანტონოვისა.

# რუსეთი

„მართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია უმაღლესი მანიფესტი, რომლის ბრძანებითაც საკუთრივ რუსეთში და პოლშის სამეფოში

---

სუსური ქონდრის-კაცების ხელით, რომ მისი სიცოცხლე აათამაშეს უბრალო და ბნელათბნელ არსებებმა, რომლებიც კაცის სახელის ღირსნიც არ იყვნენ... მე მესმოდა ეს, და გული მიწუხდა, რომ არსაიდგან არ სჩანდა კაცი, რომელსაც მიერეკ-მოერეკა ეს უწმინდური ბუზ-კაცები, ან დაენახებია მათთვის, რა მიუწვდომლათ მაღლა იდგა იმათზე ის, ვისაც ისინი ლანძღვით და ხარხარით სტანჯვიდენ. —რათ არ სდგება ეხლა ის ღვთიური ძალა რომელიც აცხოვრებს შემდეგში მთელ ქვეყანას, და რათა არ იჩენს ის თავს, რათ აძლევს ის გამარჯვებას თავის თავზე უძალო უმომავლო და უნიჭო არსებების ლანდს?...

\+

მართალი უნდა ვთქვა, რომ იმ დროს მე ხელი მექაოდა—ჯინი ამომეყარა ამ უგულდვიძლო მდევნელებზე და თან ძალიან დაჩაგრულიც ვიყავი მათი გამარჯვებით. ჩემ თვალს წინ, თითქო ცოცხალი, იდგა უტვინო მდევნელების გროვა; მტანჯველები ხარხარით და თავ მოწონებით ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავდნენ, და გაკვირვებით ერთი მეორეს ვანსაცდელს და ტანჯვის ამბავს ეუბნეოდენ იმისთანა კილოზე, თითქო თვითონაც არ სჯეროდათ თავიანთი გამარჯვება. რა საძაგელი და ულმერთო სიტყვებით დაცინოდენ ისინი წვალებულს, რა ჯოჯოხეთის სიცილით იხსენებდენ ისინი მის უწინდელს ძალას და როგორი მხეცური სიხარულით ჩხვლეტდენ და ხვრეტდენ ნაწვალების გვამს? ჩემ ყურს თითქო ესმოდა ეს ჯანდაბური ხარხათი და ჩემი თვალი ხედავდა დასისხლიანებულ, გამხეცებულ სახეებსა. მაგრამ წარსულს რაღა ეშველებოდა: როგორ გამომეთქვა მე იმათთვის ჩემი ზიზღი, მიმელეწა იმათი ბინძური გროვა და იმ რიგათ მომესრისა ისინი, რომ დედამიწას მათი ხსენებაც არ შეენახა? ეს მაბრაზებდა მე ყველაზე უფრო, ეს იყო ჩემი გულის დამწველი, და მე ისე თავ დაღუნული გამოვდიოდი ეკკლესიიდან, თითქო ცის სინათლის დანახვა მრცხვენოდა, რადგანც არ შემეძლო გარდამეხადა შეურაცხყოფა, გინება და ტანჯვა, რომელიც ოდესმე მიაყენეს იმ რწმუნებას, აზრს და გრძნობას, რომლითაც ეხლა მე ვცხოვრობ....

\+

მართალია, მე მაშინაც ვგრძნობდი, რომ ორი-სამი დღის შემდეგ ყველასთვის გამოჩნდება მტანჯველების სიბრიყვე და ხეპრობა, გამოჩნდება იმ „სიტყვის“ სიმართლე, რომელიც „კაცთათანა მოვიდა, და კაცთა იგი ვერა იცნეს.“ მაგრამ ეს ორი-სამი დღის გამარჯვებაც რათ უნდა მისცემოდა იმათ, ვინც დამარცხების და ერთიანათ მოსპობის ღირსნი იყვნენ? რათ ეძლეოდათ იმათ თუნდ ერთი წუთი სუფლება და გამარჯვება იმაზე, რაც ნიადაგ და ყოველთვის გამარჯვების ღირსია და გამარჯვებული უნდა იყოს?

ამ კითხვებზე მე პასუხს ვერ ვპოულობდი.

\+

მასაქეთია რაც ეს კითხვები თავბრუს მახვევდენ და მე სასოწარკვეთილი, შერცხვენილი ვნატრობდი, სირცხვილის მოსაწმენდათ მაინც ცოტაოდენი შეურაცხყოფა და ტანჯვა მე თვითან მომდგომოდა, მასაქეთია მეთქი გვარიან ხანს გაუვლია. მაგრამ ეს კითხვები ხშირათ მაგონდება მე, და მათი გახსენება ხშირათ იმ ნაირსავე გრძნობას მიძრავს გულში, და ხელ-ახლავ დაღონებული, შერცხვენილი ვლუნავ მე თავს, როცა ვხედავ, რომ სხვაში, სხვაგან, იგინება და იტანჯება ის გრძნობა და აზრი რომელიც მეც მიდგია და მამოქმედებს... მე ვერ მამშვიდებს ის მოაზრება, რომ ეს შეგინება უძალოა, რომ იმას მომავალი არა აქვს, რომ ეს პატიოსანი სწავლა უსათუოთ გაიმარჯვებს საბოლოოთ და თავის ძალას და სიკეთეს მთელ ქვეყანას დაანახებს. ეს ვიცი მე, ძლიერ კარგათ ვიცი; ეს მომავალი მჯერა და მასში ერთი ნამცეცა ეჭვიც არა მაქვს. მაგრამ დროებითი შეგინება რათ უნდა დარჩეს გარდუხდელი? რათ უნდა მიეტევოს მხეცური ხარხათი მტანჯველისა, და ჯიბრ-ამოუყრელი რათ უნდა დარჩეს გამოუთქმელი ტანჯვა დატანჯულისა? ნუ თუ ჩვენს სიყვარულს, ჩვენს ალტაცებას, ჩვენს პატივისცემას იმოდენა ძალა და ღირსება არ უნდა ჰქონდეს, რომ დაიცვას შეგინებისაგან ყოველი არსება, რომელიც ჩვენ გვიყვარს და რომელსაც ჩვენ უყვარვართ? ნუ თუ ის, ვინც ჩვენთვის თავს სდებს, ღირსი არ არის ჩვენის მხრით სამაგიერო თავის დადებისა და დაცვისა! რა კაცია ის კაცი, რომელსაც არ შეუძლია შეგინებისგან დაიცვას თავისი და, მშობელი, მეუღლე, და რომელიც უდარდელათ, გულხელ დაკრეფილი დაცქერის, როცა ეს მისთვის საყვარელი ქმნილებაები გინებით იტანჯებიან ბინძური გროვისაგან? განა მართალი უნდა გამოდგეს იმ პოეტის გესლიანი და მწარე სიტყვები, რომელმაც ერთხელ ბრაზიანათ სთქვა:

И ненавидимъ, и любимъ мы случайно,
Ничѣмъ не жертвуя ни злобѣ, ни любви!

განა ყოველთვის ასე უნდა იყოს?

\+

ათასჯერ უფრო სასიამოვნო და სანეტარო იმ ბედნიერების მდგომარეობა, რომელთაც უფლება აქვთ ეს ცეცხლის სიტყვებით გვისაყვედურონ. მაცხოვრისთვის და მოწამეებისთვის რა არის, მართლა, რამდენიმე წუთის, თუნდ რამდენიმე წლის ტანჯვა და შეურაცხყოფა, როცა ისინი გრძნობდენ, რომ ეს შეურაცხყოფა ადგათ იმათ ჩვენი გულისთვის, ჩვენ დასახსნელათ?—და როგორი სიამოვნებით უნდა გრძნობდენ ისინი ამ ტანჯვას,—რომელიც თავის ნებით აიტანეს კაცობრიობისთვის! ჩვენს უსუსურ მადლობას, ხსოვნას ჩვენს ცარიელს თაყვანისცემას—დიდი ფასი არა აქვს . . . . . . . . და ყოველი ხორცშესხმული აშოროს ღმერთმა იმისთანა მოწყალების მიღებას, რომლის ღირსი არ იყოს თავისი ცხოვრებით და მოქმედებით. ამის ღირსს გაგვხდის ჩვენ ნიადაგი ასრულება მათი სწავლისა და მიბაძვა მათი ცხოვრებისა...

6 დეკ. 1871 ნ. ხუნდელი

ამ, 1872, წელს სალდათები (რეკრუტი) უნდა მოკრიბონ—ათას კაცში ექვსი.

* * *

უველგან და მუდამ ლაპარაკობენ ეხლა იმ საშუალობაზე, რომლითაც ხალხში განათლება უნდა გავრცელდეს, და ამიტომ ურიგო არ იქნება ვთქვათ—თუ ზოგიერთ ქვეყნებში რა საშუალებას ხმარობენ, რომ წერა-კითხვა მაინც ასწავლონ სოფლის ხალხსა. შვეციაში, ნორვეგიაში და ფინლანდიაში აი როგორ იქცევიან სოფლები: ოთხი ან ხუთი სოფლისთვის მოიწვევენ ერთს მასწავლებელს (კაცს ან ქალს), რომელიც ვალდებულია წლის განმავლობაში ხან ერთი სოფლის ყმაწვილებს შეუყაროს თავი და ასწავლოს და ხან მეორე სოფელში გადავიდეს და იქ გახსნას შკოლა, შემდეგ მესამეში, მეოთხეში და ამნაირათ თითო-ოროლი თვე უნდა დაჰყოს თითო სოფელში და ასწავლოს. მეორე და შემდეგ წელიწადებშიაც ამნაირათვე გრძელდება ამ სოფლებში სწავლა. როდესაც მასწავლებელი ერთი სოფლიდამ მეორეში მიდის, დატოვებულ სოფელში ის ნიშნავს ერთს თანაშემწეს, რომელიც, სანამ თვითონ მასწავლებელი ისევ დაბრუნდება, ცოტ-ცოტათი ასწავლის ყმაწვილებსა. ამ გვარი საშუალება ერთის მხრით იმიტომ არის კარგი, რომ ხუთ სოფელს ყოველთვის რიგიანი მასწავლებლის დაჭერა შეუძლია, და მეორეს მხრით არც შაგირდები აქნებიან იძულებულნი თავის სოფლიდამ ყოველ დღე ხუთ-ექვს-ვერსზე იარონ მეორე სოფლის შკოლაში. ზოგიერთი ყუსული გაზეთები რუსეთშიაც ურჩევენ ამისთანა „დროებითი“ შკოლების გამართვას.

* * *

ყველასთვის ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ ყოველ გვარი ჭირი და ავათმყოფობა შეუძლო და ღარიბ ხალხში ჰსუფევს; განსაკუთრებით ფაბრიკებისა და ქარხნების მუშა, რომელსაც მუდამ ძნელი, ჯანმთელობის დამარღვეველი მუშაობა აწევს კისერზე და სიღარიბის გამო ვერც სვამს, ვერც ჭამს ხეირიანათ და არც რიგიან სახლში დგას,—განსაკუთრებით ამისთანა მუშები ხდებიან ხშირათ ავათ და იმათში უფრო ბევრიც იხოცება, ვიდრემ სხვა წოდებისა და საქმის ხალხი. ამ მოკლე ხანში პეტერბურღს შემდგარა ერთი საზოგადოება, რომელიც ამგვარი მუშების ჯანმთელობაზე ჰზრუნავს. ამ საზოგადოების დანიშნულება სხვათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ მუშა ხალხისთვის გამართავს საავათმყოფოებს, სადაც იმათ მუქთათ უწამლებენ,—გამოსცემენ მუშებისთვის გიგიენურ წიგნებს, სადაც იქნება დარიგება—თუ როგორ უნდა იცხოვრონ იმათ და რა უნდა სჭამონ და სვან, რომ ავათ არ გახდენ,—გამოიკვლევენ იმ მიზეზებს, რომლის გამო ფაბრიკებისა და ქარხნების მუშები უფრო ხშირათ ხდებიან ავათ და ეცდებიან ეს გარეშე მიზეზები მოსპონ და სხვა.

ამ გვარი ზრუნვა ზემოხსენებული საზოგადოებისა, რასაკვირველია, საქებია და ამ საზოგადოების წევრების გულკეთილობას გვიმტკიცებს; საავათმყოფოების გამართვა, გიგიენური წიგნების გამოცემა, დარიგება და სხვა ამ გვარი საშუალებები, უეჭველია, თავის სარგებლობას მოუტანს მუშა-ხალხს. მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ გვარი საშუალებები და დარიგება ვერ მოსპობს ღარიბ ხალხში ავათმყოფობას: განა თვითონ ღარიბმა არ იცის, რომ კარგი ჩაცმა-დახურვა, კარგი სასმელ-საჭმელი და რიგიანი ცხოვრება იმის ჯანმთელობისთვის საჭირო არის? საქმე იმაშია, რომ ყველა ესენი მოიპოვოს იმან. მიეცით იმას კარგი ცხოვრების საშუალება და მაშინ ნახავთ, რომ ისინიც იმნაირათვე ჯანმთელობით და დიდხან იცხოვრებენ, როგორც შეძლებულები ცხოვრებენ. ამნაირათ, ცხადია, რომ ღარიბი ხალხის გახშირებულის სიკვდილისა და ავათმყოფობის მიზეზი ის საზოგადო მდგომარეობა არის, რომელშიაც ეს ხალხი ჩავარდნილია და ამ გვარი დარიგება, წიგნები და საავათმყოფოები იმათ ძალიან ნაკლებათ მოეხმარებიან და თუ მოეხმარებიან—ისიც ათასში ერთსა....

* * *

პეტერბურღის ერთს უბანში ამას წინათ გაუხსნიათ ისეთი შკოლა, რომელშიაც მარტო ფაბრიკის და ქარხნების მუშები და იმათი შვილები (ქალები და ვაჟები ერთად) სწავლობენ. პატარა შაგირდებისთვის ამ შკოლაში სწავლა ყოველ დღე იქნება, და დიდებისთვის კი კვირაში ხუთჯერ სალამობით. სწავლის ფასი დიდებისთვის თვეში ექვსი შაურია დანიშნული და პატარაებისთვის თითო აბაზი. აქ სამღვთო წერილსა, წერა-კითხვას და არითმეტიკას ასწავლიან, ქალებს ამას გარდა ხელსაქმესაც ასწავლიან. თავის საშუალებით ამ შკოლას, რასაკვირველია, გაძლება არ შეუძლია. ამბობენ, იმას ის ფაბრიკის პატრონები უწყობენ ხელსაო, რომლის მუშებიც ამ შკოლით სარგებლობენო.

* * *

ერთს მდიდარს პოლშელს, გრაფ ბრანიცკის, 285,000 მანეთი შეუწირავს წელს პოლშაში და რუსეთის სამხრეთ-დასავლეთის გუბერნიებში სახალხო ბანკების გასამართავად. ამბობენო, სწერენ „პეტერბურღის უწყებებში“, რომ მოსკოვის ერობამაც 250,000 მ. გადადვაო აგრეთვე მოსკოვის გუბერნიის სოფლებში სახალხო ბანკებისათვისო.

* * *

რუსეთშიაც ჰკიდებენ ქალები ცოტ-ცოტათი ხელს ისეთ საქმეებს, რომელზედაც იმათ ადრე არ უშვებდნენ. სხვათა შორის ეკატერინოსლავის ნოტარიუსების კანცელარიაში რამოდენიმე ქალი მსახურებს თურმე და ჩინებულათ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებას. იქაურ ფოჩტაში ორი თუ სამი ქალი მიუღიათ ზოგი მწერლებათ და ზოგი წიგნების და ჟურნალების და გაზეთების გასარჩევად. ამას გარდა ზემოხსენებულ ქალაქში ერთს ქალს გაუმართავს საკერავი მაღაზია, სადაც მარტო ქალები კერავენ თურმე და ამ ნაირათ ლუკმა-პურს შოულობენ.

---

დეკემბრის 9-ს გადაიცვალა პეტერბურღში გამოჩენილი მდიდარი სომეხი ქრისტეფორე იოკიმის ძე ლ ა ზ ა რ ე ვ ი, რომელმანც თავის სიცოცხლეში ბევრი კეთილი საქმე მოიქმედა. ჩვენში ბევრს გაეგონება ლაზარევის ინსტიტუტი, რომელიც მოსკოვში იმყოფება. ეს სასწავლებელი 1815 წელს იყო გახსნილი ზემოხსენებული ლაზარევის მამისაგან, რომელმანც 200,000 მანეთი შესწირა იმისთვის, რომ ამ სასწავლებელში ყოველ წელიწადს 30 ღარიბ სომხის შვილს მიეღო სწავლა. ახლად გადაცვალებულმა ქრისტეფორემ მამის შენაწირს კიდევ ნახევარი მილიონი (500,000 მან.) დაუმატა და ინსტიტუტი ისეთ უმაღლეს სასწავლებელათ გახადა, სადაც განსაკუთრებითი ყურადღება სომხური და სხვა აღმოსავლეთური ენების სწავლას ჰქონდა მიქცეული. ამ ჟამად ლაზარევის ინსტიტუტში იმდენი სწავლაა, რამდენიც სხვა რუსულ გიმნაზიებში, მაგრამ სხვა საგნებს გარდა აღმოსავლეთურ ენებსაც ასწავლიან (სომხურს, ქართულს, თათრულს და სხ.)

მიცვალებულ ლაზარევს დიდი მამულები ჰქონდა თურმე პერმის გუბერნიაში და ფაბრიკებიც. ამბობენ, ყველგან სახალხო შკოლებსა და საავათმყოფოებს მმართავდა ის თავის ხარჯითო. და ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ იმის სიკვდილი მარტო სომხებს კი არ ეწყინათ.

---

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი

არცერთი საქმე არ აღელვებს ეხლა საფრანგეთის საზოგადოებას ისე როგორათაც ორლეანის პრინცების ნაციონალურ კრებაში შესვლა. მკითხველს ეხსომება, რომ ორლეანის პრინცებმა, რომელნიც კრების დეპუტატათ აღმორჩეულნი იყვნენ შარშან, პირობა მისცეს ტიერს, რომ არ ვისარგებლებთ იმ უფლებით, რომელიც ხალხმა კენჭის ყრით მოგვანიჭა ჩვენაო და არ შევალთ ნაციონალურ კრებაშიო. ამ ერთი თვის წინათ კი ისინი იყვნენ ტიერთან, რომელსაც ამ პირობიდგან განთავისუფლებას და კრებაში შესვლის უფლებას სთხოვდნენ. „ეხლა საფრანგეთი ისე დაწყნარებულია, მმართებლობა ისე მტკიცეთ დგასო, ამბობდნენ ისინი, რომ ჩვენი შესვლით ნაციონალურ კრებაში, არც საზოგადო მშვიდობიანობასა და არც მთავრობას არავითარი შიში და განსაცდელი არ მიადგებაო“. მაგრამ ტიერმა არ გაათავისუფლა ისინი ერთხელ მიცემული პირობისაგან ერთის მხრით ის ამბობდა, რომ თქვენი ნაცინალურ კრებაში შესვლა და დეპუტატობა თქვენს მომხრე მონარხიელებს გაადიდგულებს და რესპუბლიკის მოსპობის იმედს მისცემსო; მეორე მხრით ტიერი ამბობდა, ეს პირობა მე კი არა, თვითონ ნაციონალურ კრებას მიეცით თქვენაო და იმან უნდა გადაწყვიტოს— შეგიძლიანთ იქნეთ დეპუტატათ თუ არაო.—ამ საქმის თაობაზე ბევრი და ცხარი მოლაპარაკება იყო ნაციონალურ კრებაში. კაზიმირ პერიემ, ტიერის მონდობილობით, გამოაცხადა, რომ თუ ნაციონალური კრება გაათავისუფლებს ორლეანის პრინცებს ერთხელ მიცემული პირობისაგან, მე (ე. ი. ტიერი) არ ვეწინაამდეგები ამასაო. დიდიხნის ბაასის შემდეგ, ბოლოს კრებამ გადაწყვიტა, რომ რადგანც ორლეანის პრინცებს იმისთვის არ მიუციათ არავითარი პირობა, ამიტომ არც ამ პირობის აღსრულებას მოითხოვს ის იმათგან.

ამის შემდეგ ორლეანის პრინცები შევიდნენ ნაციონალურ კრებაში და დასხდნენ მარჯვენა მხრით, სადაც მონარხიელები სხდან ხოლმე. თითქმის ყველა ფრანცუზული გაზეთები უკმაყოფილოთ დარჩნენ ამნაირათ საქმის გათავებაზე.

რასაკვირველია, ორლეანის პრინცები არც ისეთი გაბედავები, დამოხერხებულები და არც ისეთი მოღალატეები არიან, რომ საფრანგეთში რესპუბლიკის მოსპობა მოახერხონ და მონარქიის დადგენა. მაგრამ ისინი ცხადათ ამბობენ, რომ მონარქიის მომხრეები არიან და საფრანგეთში რესპუბლიკა ვერ გასძლებსო; ამბობენ, რომ ჩვენ ვართ პირდაპირი მემკვიდრე საფრანგეთის ტახტისაო. ახლა ამასთან რომ ეხლანდელი ნაციონალური კრების შედგენილობა მივიღოთ მხედველობაში, რომელშიაც მომატებული ნაწილი მონარხიელი დეპუტატები სხედან,—მაშინ ჩვენ გავიგებთ, რომ ორლეანის პრინცების შესვლა ნაციონალურ კრებაში, მშვიდობიანობის ნაცვლათ, მომეტებულს განხეთქილებასა, უთანხმოებას და სიძულვილს აღძრავს საფრანგეთის სხვა და სხვა პარტიებში და თვითონ ხალხშიაც. განსაკუთრებით უკმაყოფილოთ დარჩნენ რადიკალური გაზეთები, რომელთაც იციან, რომ საფრანგეთში რესპუბლიკა ჯერ ნორჩი ყვავილია, რომელსაც ძალიან ფრთხილათ მოპყრობა სჭირს და რომლისთვისაც მონარხიელები სუსხიან ქარს ან დამძრავ სიცივეს შეადგენენ. ამიტომაც იმათ ეს მონარხიელების წარმომადგენლების შესვლა ნაციონალურ კრებაში სრულიად არ მოსწონთ და სცდილობენ, რომ ამ გარემოებას საფრანგეთში მონარხიული პრინციპების დამკვიდრებაზე გავლენა არა ჰქონდეს. მომავალში დავინახავთ—საფუძვლიანია ნამდვილი რესპუბლიკელების შიში, თუ არა?

— ნიუ-იორკის გაზეთებში სწერენ, რომ გამოჩენილი სამხედრო მინისტრი პარიჟის კომუნისა, ღენერალი კლიუზერე, ამ ჟამად ამერიკაში არისო. როდესაც ვერსალის ჯარმა გაიმარჯვა და პარიჟი აიღო, ის საფრანგეთიდამ ესპანიით ინგლისში მივიდა; აქედამ ჩაჯდა ხომალდში და ამერიკაში გასწია. მივიდა თუ არა ნიუ-იორკში, მექსიკის პრეზიდენტის — ხუარესისაგან, მოუვიდა დაპატიჟება, მოდი, ჯარს ჩაგაბარებ და ჩემ მტრებს ეომეო. კლიუზერე წასულა მექსიკოში, ჩაუბარებია ჯარი და პორფირიო დიაცს ებრძვის, რომელსაც ჰსურს პრეზიდენტობა წაართვას ხუარესსა.

— ერთი ფრანცუზული გაზეთის სიტყვით, დატუსაღებული როშფორი ამ ჟამად ავათ არის და ბაიარის ფორტის ლაზარეთში სწევს. იმასთან ერთად იმყოფებიან სხვათა შორის როჟერი და პასკალ გრუსე, რომელიც კომუნის დროს გარეგანი საქმეების მინისტრათ იყო. ამბობენ, ამ დატუსაღებულებს ერთი ნუგეში ისღა დარჩენიათ, რომ გაზეთების კითხვის უფლება აქვთ მიცემულიო.

— ორი კამისია არის პარიჟს შემდგარი, რომლებიც იკვლევენ 4 სექტემბრის მმართებლობის მოქმედებასა და 14 მარტის რევოლუციის მიზეზებს. ამ კამისიებს, როგორც გაზეთებში სწერენ, გაუთავებიათ ეხლახან თავის შრომა და სამი წიგნის გამოცემას აპირებენ, რომელშიაც გარკვევით იქნება ნაჩვენები—თუ როგორ შესდგა და რა გააკეთა 4 სექტემბრის (ნაპოლეონის დატუსაღების შემდეგ) მმართებლობა, და რა მიზეზი იყო 18 მარტის პარიჟის არეულობისა.—15,000 კაცია თურმე კომუნაში გარეული დამნაშავეები, რომლების საქმე ჯერაც არ განუხილავთ და რომელნიც აქამდე დაჭერილნი არიან. ამბობენ, მმართებლობას მიუღია მხედველობაში ის გარემოება, რომ უმეტესი ნაწილი ამათგანი თითქმის სულ ტყუილ-უბრალოთ არიან დატუსაღებულნი და ცუდი ცხოვრებისაგან იხოცებიან,—და ამიტომ ჰსურსო მალე გაათავოს იმათი საქმე და, მძიმე დამნაშავეებს გარდა, ყველა გაათავისუფლოსო.

## ავსტრია და ვენგრია

დეკემბრის 15 (27) გაიხსნა ვენაში ავსტრიის რეიხსრატი. ამ დროს რეიხსრატის პრეზიდენტმა თ. აუერსპერღმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც სხვათა შორის მოიხსენა შემდეგი: „მმართებლობა მადლობის ღირსია, რომ ის ბეჯითად ასრულებს კონსტიტუციის მუხლებს. თუ წინდახედვითა და ფრთხილათ მოვიქეცით, შემდეგშიაც შეგვეძლება ავაცილოთ ჩვენი სახელმწიფო ხომალდი იმ ქვებსა, რომელნიც წინ უხვდებიან მას. ჩვენს სახელმწიფოს მხოლოთ მაშინ მიეცემა პატივისცემა, როდესაც შინ თავის ხალხებთან მორიგდება და გარეთ—მშვიდობიანობის დაცვას ეცდება.“

მეორე დღეს წაიკითხეს ტ რ ო ნ ი ს ს ი ტ ყ ვ ა, რომელშიაც სხვათა შორის მოხსენებული იყო, რომ მმართებლობის მეცადინეობა, როგორც დღემდი, შემდეგშიაც ის იქნებაო, რომ დაიცვას კონსტიტუცია და ყველა კანონს დაუმორჩილოსო. გალიციის მოთხოვნილების თაობაზე ტრონის სიტყვაში იყო ნათქვამი, რომ მთავრობა ეცდება ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, მაგრამ იმნაირათ, რომ ამით ავსტრიის საერთო მმართებლობის წესი არ შეირყესო. ტრონის სიტყვა რამდონიმე ახალი კანონების წარდგენას დაპირდა რეიხსრატს. ბოლოს იმპერატორი ფრანც-იოსიფი ამბობდა, რომ ავსტრიის იმპერიას ყველა ევროპის სახელმწიფოებთან კეთილი განწყობილება და მეგობრობა აქვს და ომიანობას ჯერ არავინ არ მოელისო.

— ერთი პოლშური გაზეთი ურჩევს ავსტრიის ფედერალისტებს, რომ ყველა ავსტრიის წვრილი ხალხებიდამ შეჰყარეთ ვენაში წარმომადგენლები და იმათ გადაწყვიტონ ჩვენი დახლართული საქმეები და ახალი კონსტიტუცია დაადგინონო. ნემცებს (ცენტრალისტებს) ეს პროექტი, რასაკვირველია, არ მოსწონთ.

# შ ვ ე ი ც ა რ ი ა

## ჟენევიდგან

(„დროების" კორრესპონდენცია)

თქვენმა მკითხველებს ეცოდინებათ, რომ როცა ჩრდილოეთ ამერიკაში მონობის დამცველ (სამხრეთ) შტატებსა და თავისუფალ (ჩრდილოეთ) შტატებს შუა ომი იყო გამართული, მაშინ ინგლისი ბევრს შემწეობას აძლევდა პირველებს. ერთ ამ შემწეობის შემდგომად ისიც იყო, რომ ინგლისის გემებმა დალუპეს ერთი გემი სახელდობრ „ა ლ ა ბ ა მ ა". ეს გემი ეკუთვნოდა თავისუფალს შტატებს. შარშანდლამდის, რა მიზეზის გამო კაცმა არ იცის, მათ ხმა არ ამოუღიათ; შარშან კი, საფრანგეთის პრუსიისაგან დამარცხების შემდეგ, როგორც სხვა სახელმწიფოებმა ისარგებლეს ამითი თავ-თავის სურვილების აღსასრულებლათ, ისე ამერიკამაც მოსთხოვა ანგარიში ინგლისს ამ დალუპული გემის შესახებ. გეხსომებათ, რასაკვირველია, სადამდის მიაწია ამ საქმემ: ინგლისის გამგე პირები რომ იმ განათლების და იმ კაცობრიულის გრძნობის მქონე ყოფილიყვნენ, როგორც აქეთა ევროპის კონტინენტზედ ბრძანდებიან, ლაპარაკი აღარ უნდა, ომი ატყდებოდა და ერთ რამოდენიმე წლის დალუპულ გემს კიდევ ოციოდეს სხვას მიუმატებდენ და ორიოდე მილიონ ხალხსაც მიაბარებდენ დიდ ოკიანეს „ქვეყნის მშვიდობის და განათლების დასაცველათ". უეჭველი პატიოსანი კაცის სასიამოვნოდ, საქმემ სხვა ბოლო მიიღო. უნდა ითქვას ინგლისის მმართველების დიდ საქებათ, რომ მათ კაცურად შეხედეს ამ საქმეს და არჩიეს იმ ნაირათ საქმის გათავება, როგორც შეშვენის ყოველს განათლებულს ხალხს, რომელიც არ არის გარყვნილი და სადაც ყოველივე კაცობრიული გრძნობა არ აქვს ჩანთქმული პიროვნულს და საკუთრებით ინტერესებს. გეხსომებათ იგრეთვე, რასაკვირველია, რა მონაწილეობა მიიღო ამ საქმის კაცობრიულათ გადაწყვეტაში ორივე ქვეყნის მუშა-ხალხმა ერთმანეთში მოლაპარაკების და საკმაოთ მიტინგების გამართვის შემდეგ: მათ პირ-და-პირ გადასწყვიტეს, რომ თუ მართებლობა ამ საქმეს მშვიდობიანათ არ გაათავებს და არ მიაქცევს ყურადღებას მათ თხოვნას, მაშინ ისინი არათუ რამე შემწეობას მისცემენ თავ-თავის მართებლობას, არამედ ომში დახმარების მაგივრად მათვე გამოუცხადებენ ომს თავისვე სამშობლოში. ამ სიტყვებს სხვა დროს კიდევ დიდ მნიშვნელობას არ მიაწერდნენ, მაგრამ შარშანდელმა პარიჟის მოქმედებამ ყველას ცხადათ დაანახვა—რა შეუძლია ევროპიელ მუშა-ხალხს და სადამდის მიაწევს მისი გაბრაზება, თუმცა მისივე საქმე იმას არა ჰკითხეს და არ იქონიეს სახეში მისი სურვილიც. საზოგადოთ იმ ჰაზრზედა დგანან აქ, რომ ის დიდი მნიშვნელობა და ყურადღების მიქცევა, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში აქვს ინგლისისა და ამერიკის მუშა ხალხსა არის მიზეზი რომ ამ ძლიერ სათრთხილო საქმეს მშვიდობიანათ ეღება ბოლო. ამ საქმის გასარჩევად ორივე მხარემ, ე. ი. ინგლისმა და ამერიკამ დანიშნა მედიატორები, რომელთაც უნდა განარჩიონ ეს საქმე მარტო ხალხთა შორის წესდებულების თანხმად. მიანდვეს ეს საქმე ბრაზილიის, შვეიცარიას; და იტალიას ამ სამი სახელმწიფოებიდგან სანდო პირები უნდა დანიშნულიყვნენ პირდაპირ საქმის გასარჩევად და სასხდომათ დანიშნეს ჟ ე ნ ე ვ ა. ეს არის ორი დღეა რაც ამ დანიშნულმა პირებმა მოიყარეს თავი აქ: ბრაზილიის მხრით მოვიდა ბარონი დ ი ტ ა ჟ უ შ ა; იტალიის მხრით გრაფი ს კ ლ ო პ ი ს და შვეიცარიის მხრით არის მოქალაქე ს ტ ე მ პ ფ ლ ი. ამათ გარდა ორივე მხარეებმა გამოგზავნეს თითო კიდევ, რომ წარმოადგინონ საქმეები, საბუთები და სხვა რაც რამე საჭირო იქნება საქმის გასარჩევად; ეს პირები არიან ინგლისის მხრით სირი კ ო კ ბ უ რ ნ ი და ამერიკის მხრით მოქალაქე ა დ ა მ ს ი. ესენი შეუდგენ თავის საქმეს 15-ს ამ თვეს. არ გეგონოთ, რომ ამ დღეს შეუდგენ საქმის განრჩევას სრულებითაც არა: ამ დღეს მხოლოთ მზადებას შეუდგენ. ამბობენ, რომ ფორმალური მზადება გაგრძელდება მომავალი წლის მარტამდის; მაშინ დაინიშნება კამისია, რომელმანც უნდა შეამუშაოს საქმე და წარუდგინოს ტრიბუნალს. ამ საქმის წარდგენას მოელიან მომავალი წლის ოკტომბერში. ასე მძიმედ საქმის წაყვანა ნუ გაგაკვირვებთ; ამბობენ ნამდვილათ რომ მთელი საქმე, სხვა და სხვა შემუშავებას გარდა, ათი დიდი ტომი არისო; თუ ეს ასეა ხომ გასაკვირველი არ არის, რომ ამოდენა საქმის გასარჩევათ და შესამუშავებელათ რვა თვე წავიდეს. გასაკვირველი ის არის, რომ ყოველ ამ ტრიბუნალის წევრს ეძლევა დ ღ ე შ ი ა თ ა ს ი ფ რ ა ნ კ ი. იმედია, რომ შიმშილით არცერთი არ შეგვიწუხდება აქ ყოფაში. ჟენევა დიდს სიამოვნებას ჰპოვებს, რომ ამისთანა შესანიშნავი საქმე ამ სახით გათავდება აქ. აქამდისაც შვეიცარია სათემო საქმეში ყოველთვის მოწინავე ჰაზრების აღმსრულებელი იყო და მომავალშიაც ბედს უძღვნია ამისთვის ეს ყოვლად მშვენიერი ღირსება. აგრე არის ახლაც: ის ფორმა ხალხთა-შორის უკმაყოფილობის დაწყობისა, რომელმანც უნდა განდევნოს საპოლიტიკო ასპარეზიდგან ყოველი სისხლის ღვრა და დამდგარი საზოგადოების აოხრება, ის სამსჯავროს ან ტრიბუნალის ფორმა, რომელიც ჯერ-ჯერობით საუკეთესოდ არის ნახული, რომ ყოველნაირი ხალხთა-შორის განხეთქილება მოაშოროს იმ გზას, რომელიც აქამომდე არის ქვეყნიერების ამაოხრებელი და ყოველნაირი კაცობრიობის განათლების უკან დამწევი და დამაბრკოლებელი და მისცეს მას იმ ნაირი მშვიდობიანი დაბოლოება, როგორიც შეჰფერის არამც თუ ყოველ განათლებულ ხალხს, არამედ ცოტათი ჰაზრ გახსნილსაც—დაწესდა აქ ჟენევაში ე. ი. შვეიცარიის განათლების ცენტრში. ეს შემთხვევა ურჩება სასიამოვნოდ აქაურებს, როგორც ისტორიული ფაქტი, აღმამაღლებელი შვეიცარიის რესპუბლიკისა განათლების მხრით სხვა უცხო ხალხების სახეში. ჩვენ, სხვა ხალხებმაც ვალდებულათ უნდა დავსახოთ თავი, რომ უძღვნათ გულითადი მილოცვა და თანაგრძნობა ინგლისს და ამერიკას ამისთანა დაუფასებელი მოქმედებისათვის, რომელიც დარჩება ერთ შესანიშნავ ნაბიჯათ მე-XIX-საუკუნის განმაცლობის ისტორიაში; ვისურვოთ, რომ ეს საქები მაგალითი ამ ორი განათლებაში დაწინაურებული ხალხისა არ დარჩეს მარტივად და მოიპოვოს მიბაძვა ყოველ სხვა განათლებულ ხალხებშიაც.

რამოდენიმე დღე არის მას აქეთ, ჟენევას როგორც იყო ამდენ გადამდგარ ხელმწიფეებსა და ხელმწიფებს შორის ერთი გადუმდგარიც ეწვია; ბრაზილიის იმპერატორი მობრძანდა აქ, დაჰყო ორიოდე დღე, დაათვალიერა ზოგიერთი შესანიშნავი ადგილები ჟენევისა და წავიდა პარიჟში. აქ მის ყოფნის დროს იყო ნაციონალური დღესასწაული „ესკალადა" (fête d'Escalade). ეს დღესასწაული იმნაირივე მნიშვნელობისა არის და იმნაირივე საფუძველი აქვს, როგორც ჩვენს „ყეენობას"; მხოლოდ აქ გაურეკიათ თათრების მაგივრათ სავოიელები. ეს დღესასწაული იწყება საღამოს და შუაღამემდის მთელი ქალაქი ფეხზედა სდგას. არის გამართული კორტეჟი და დადის მთელ ქალაქში. ბრაზილიის იმპერატორმა ი მ დ ე ნ ი მ ო წ ყ ა ლ ე ბ ა მოიღო, რომ გამობძანდა თავის ოტელიდგან, თავის მეუღლით, ჩადგა კორტეჟში და გაატარა მთელი ქუჩა „de souhaits affectueux pour Genève" (როგორც ერთმა გაზეთმა სთქვა ამის შესახებ.) გასაკვირველად ის დარჩა ჩემთვის, რომ ეს—იმპერატორი თავის სახელმწიფოში აქამომდე მ ო ნ ო ბ ა ს იცავს და აქ კი რესპუბლიკურ კორტეჟებში დაბძანდება...

სხვა აქაურ ამბებში კიდევ უნდა მომეწერა რამე ფედერალურ წყობილებების გადათვალიერებაზედ, მაგრამ ამის შესახებ იმედი მაქვს, შემდგომ წერილამდის მომიცდით. ახლა კი ორიოდე სიტყვას იმაზედ მოგწერთ, თუ რა ნაირათ მიიღეს აქ ტიერის მ ე ს ა ჟ ი (ეპისტოლე), რომელიც მან წაიკითხა ნაციონალური კრების გახსნის დროს. ამ მესაჟიდგან ბევრის რასმე გაგონებას და ახსნას მოელოდნენ, მაგრამ, ყველას საწყენად, რომელიც უფრო საინტერესო საგნები იყო, იმაზედ სულ არას ამბობს. საზოგადოთ იმედი მაქვს, რომ შეცდომაში არ შეგვიყვანოთ, რომ გითხრათ, რომ აქაური საზოგადოებაც ისე ხედავს ტიერის მოქმედებას, როგორც თქვენ დაინახამთ ამ ქვემორე მოყვანილი ადგილიდგან; აი რას ამბობს „Times" ტიერის მესაჟზედ:

„თქვენ ვერ მოიძევთ მესაჟში ერთ სიტყვას არც ხალხის განათლებაზედ, არც რომელიმე მმართებლობის ფორმის დაწესებაზედ, არც საშუალებაზედ, რომლითაც უნდა დაფუძნდეს ახლანდელი ფორმა მმართებლობისა. ხალხი განაგრძობს თავის მდგომარეობას ისევ უმეცრებაში და იქნება მსხვერპლი ყოველ ნაირი ღალატის და მოტყუებისა. მხოლოდ ერთი საქმე აღყვავდება საფრანგეთში, ეს ჯარი გადაკეთებული პრუსიის წესზედ და მიაღწევს იმ რიცხვამდე, რომ საკმაო იქნეს ისევ პრუსიელებთან ომისათვის. ტიერისაგან ელოდეთ მხოლოდ ერთ საქმეს: ის, როგორც მუდმი მოციქული იმ დოქტრინისა, რომ თუ საფრანგეთი დიდებული იქნა, ყველა სხვა ხალხი, მისი მოსამზღვრეები, უნდა იქნენ დაყოფილნი და უძლურნი, ეცდება დაუტეოს თავის მემკვიდრეებს გაწვრთნილი და ძლიერი ჯარი, უმეცარი ხალხი—მეტად დამძიმებული სახელმწიფო გადასახადისაგან. მაგრამ ტიერი არის პატრიოტი და თუ, რასაც უბედურებას და ზიანს ის საფრანგეთს უმზადებს (თავის უნებურათ), აასრულა, მაშინ მარტო ის არ დარჩება პასუხისმგებელი ამ საქმეში; ყოველი ფრანცუზი, რომელსაც აქვს იმდენი განვლენა, რომ მოუშალოს ამ პლანის ასრულება და არ აასრულებს მას, რომ გამოიხსნას თავის სამშობლო იმ საშიშო მდგომარეობიდგან, რომელსაც უმზადებს მას ტიერის პოლიტიკა, იქნება იმოდენათვე პასუხის-მგებელი."

ამას მიმატება აღარასი სჭირია. ჩემი ჰაზრით ამ ნაირივე შეხედულება აქეთ ტიერის მოქმედებაზედ სხვა განათლებულ ადგილებშიაც და სამწუხარო იქნება, რომ საფრანგეთის რესპუბლიკა ამისთანა კაცის ხელში ჩავარდეს თავის მკვიდრეთ დასაფუძნებლად.

გ. ჯ.

## შვეიცარია

შვეიცარიის ნაციონალურმა რჩევამ, რომელსაც საკავშირო კონსტიტუციის დადგენა აქვს მინდობილი, სხვათა შორის შემდეგი გადაწყვიტა: ყველა კანტონებში ერთგვარი სამართალი და კანონები უნდა იყოს, და იმათ შეცვლა მთელს კავშირზე და არა ცალკე კანტონებზე იქნება დამოკიდებული. შვეიცარიაში სამუდამოდ მოისპობა სიკვდილით დასჯა მძიმე დამნაშავეებისა, აგრეთვე სხეულის დასჯაცა. ეს კანონები, როგორც აგრეთვე სხვებიც, რომელზედაც ამ ჟამად ნაციონალურ რჩევას აქვს მოლაპარაკება, ჯერ ამ რჩევამ უნდა დაადგინოს, მერე კანტონების წარმომადგენლები უნდა დათანხმდენ ამაზე და შემდეგ მთელ ხალხს უნდა ჰკითხონ—მოსწონს იმას ახალი კონსტიტუცია, თუ არა?

— ციურიხის უნივერსიტეტში და პოლიტეხნიურ ინსტიტუტში ამ ჟამად 32 სხვა და სხვა ქვეყნიდამ მოსული ქალი სმენულობს თურმე ლექციებს.

# ნარევი

ერთს ნემეცურს გაზეთში დაბეჭდილია ამბავი, რომელიც გვიმტკიცებს, თუ როგორ უპირებენ ფრანცუზები ნემცებს თავის დამარცხების გადახდას და ბერლინის აღებას. ომიანობის დროს ერთი ნემეცური პროფესორის ვაჟი სცხოვრებდა პარიჟში ერთი ფრანცუზის სახლში. გათავდა თუ არა ომი, ეს ახალგაზდა ნემეცი წავიდა ბერლინში და ახლა იქიდამ მოსწერა თავის სახლის-პატრონს წიგნი, რომელშიაც მადლობას უთვლიდა პატივის-ცემისათვის. ფრანცუზმა ამ ყმაწვილს მიხწერა პასუხათ წიგნი, რომელშიაც სხვათა შორის შემდეგი სიტყვებია მოყვანილი: „თქვენ და თქვენი ნათესავები დარწმუნებული იყავით, რომ ხელს არ გახლებთ, როდესაც ორი წლის შემდეგ ბერლინში შემოვალთ და ამ თქვენ დედა-ქალაქს დავიჭერთ."

*
* *

სხვა და სხვა ნივთებს შორის მომავალ გამოფენაში მოსკოვს გამოფენილი იქნება აგრეთვე ვეშაპის ჩონჩხი, რომელიც ჩრდილოეთის [illegible] და რომელიც დეკემბრის 14 [illegible]. ეს ჩონჩხი (ძვლები) დაშლილი მიიტანეს თურმე და, როცა ყველა ძვლები ერთმანეთზე შეაწყვეს და გაზომეს, 15 საჟენზე მეტი გამოვიდა სიგრძე. სიმძიმით მარტო ძვლები 466 ფუთია.

*
* *

„ს. პეტერბურგის პოლიციის უწყებებში" დაბეჭდილია შემდეგი ახირებული ამბავი: „დეკემბრის 13-ს ნევის პროსპექტის ერთი სახლის სახურავზე ბაიყუში (ბუ) დაჯდა. ხალხმა შენიშნა ეს ფრინველი და თავის მოყრა დაიწყო ქუჩაზე. მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ, ეს ფრინველი, პოლიციის განკარგულებით, გადააფრინეს სახურავიდამ და ამის შემდეგ ხალხიც დაიშალა...

*
* *

როსელის გვამი პარიჟიდამ წაუღიათ და ნიმსს დაუმარხავთ. მმართებლობას სასტიკი ბრძანება გამოუცია, რომ იმის საფლავზე არავინ სიტყვა არა სთქვასო და არც სხვა რაიმე პატივისცემა განუცხადონ იმის გვამსაო. მაგრამ, ლიონის გაზეთებში სწერენ, რომ მეორე დღეს როსელის საფლავზე ბევრი ყვავილის გვირგვინები დააყარა ხალხმაო; ვიღაცას ყვავილებისაგან შეედგინა სამი სიტყვა: „თავისუფლებისთვის წვალებულს როსელს" და დაედვა იმის საფლავზე. მთავრობას ყველა ეს ყვავილის გვირგვინები აუკრებია და ბრძანება გამოუცია, რომ, ვინც შემდეგში ამისთანა რასმე იქს, დაისჯებაო.


1872 წელში

სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი

## „მნათობი"

გამოვა იმავე დაწყობილებით და მიმართულებით, როგორც აქამდის გამოდიოდა.

1872 წ. „მნათობის" ფასი მთელი წლისა, გაგზავნით იქნება შ ვ ი დ ი მ ა ნ ე თ ი. ნახევარ წლის ხელის—მოწერა არ მიიღება; გარნა მთელი წლის ფასი შეიძლება შემოიტანონ ორ ნაწილად.

ვისაც „მნათობის" დაბარება ჰსურს, რედაქცია სთხოვს აცნობოს მას და მასთანავე წ ა ო მ ო ა დ გ ი ნ ო ს ხ ვ ე დ რ ი ფ უ ლ ი — უ ფ უ ლ ო დ არავის არ გ ა ე გ ზ ა ვ ნ ე ბ ა „მ ნ ა თ ო ბ ი".

ხელის—მოწერა მიიღება:

თ ბ ი ლ ი ს შ ი: უფ. სემინარიის პროფესორთან გ ი ო რ გ ი ი ო ს ე ლ ი ა ნ თ ა ნ და აგრეთვე ალადათოვის წიგნების მაღაზიაში.

ქ უ თ ა ი ს შ ი. უფ. სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველთან გ ე რ ა ს ი მ ე კ ა ლ ა ნ დ ა რ ი შ ვ ი ლ თ ა ნ.

გარეშე ხელის მომწერთ უნდა დაიბარონ ამ ადრესით: *Въ Тифлисъ. Профессору Семинаріи Георгію Николаевичу Іоселіани.* ფულიც ყველამ ამავე ადრესით უნდა წარმოადგინონ.

1872 წლისთვის „მნათობის" რედაქციას აქვს დამზადებული სხვათა შორის: 1) ლ ი პ ა რ ი ტ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — ისტორიული რომანი; 2) მ ა ც ი ხ ვ ი ტ ი ა, მოთხრობა მეგრული ცხოვრებიდამ; 3) „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო" დიმ. ბაქრაძისა, კრიტიკული სტატია; 4) „ო რ ი მ ტ ე რ ს დ ა ე რ თ ი მ ო ყ ვ ა რ ე ს" კრიტიკული გარჩევა „დროებისა"; 5) ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ა, დიმ. ბაქრაძისა 6) ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ფ ი ს დ რ ო, მისივე; 7) მ ა ს ა ლ ე ბ ი საქართველოს ისტორიისათვის; 8) იმერლები თბილისში და სხვ. თარგმნილები: 9) ტ ი მ ო ნ ა თ ი ნ ე ლ ი, დრამა შექსპირისა; 10) კ ო რ ო ლ ი ლ ი რ ი, მისივე 11) რამდენიმე სიმღერა დ ო ნ-ჟ უ ა ნ ი დამ ბაირონისა; 12) ფ ი ე ს კ ო ს შ ე თ ქ მ უ ლ ო ბ ა—დრამა შილლერისა; 13) ავაზაკები, დრამა მისივე; 14) ვ ი რ გ ი ლ ი ა, ტრაგედია ალფიერისა; 15) ვ ი რ გ ი ლ ი ა, პოემა მაკოლეისი; 16) მ ო ნ ო ბ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ გ ა ნ და სხვ.

რედაქ. ნ. ავალიშვილი.

## ალექსი ანდრიას ძე კვალია-შვილი და ნიკოლაოზ დიმიტრის ძე ყიფიანი

სადავოსა და სამსჯავრო საქმეების წარმოებას კისრულობენ ყოველს სასამართლოს ადგილებში: მომრიგებელ მოსამართლეებთან (მიროვოი სუდებში), ოლქის სასამართლოში, სამოსამართლო პალატაში და სენატში. ვისაც ამათთან მოლაპარაკება ენებოს, შეიკითხოს არსენალის ქუჩაზედ, ჭავჭავაძის ქუჩის მახლობლად, ფულინოვის სახლში, სადაც უწინ მექრთმეკების შკოლა იყო და ახლა სდგას დ ი მ ი ტ რ ი ი ვ ა ნ ე ს ძ ე ყ ი ფ ი ა ნ ი, დილით თერთმეტ საათამდის და საღამოთი ოთხი საათიდამ შვიდ საათამდის. სხვა დროს—კვალიაშვილის სადგომში, საპერნის ქუჩაში, ბაბანასოვის სახლში.


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 Декабря, 1871 г.* ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.